

შპს ჯორჯიან თრეიდინგ კომპანი

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მსს ფასს-ზე გადასვლა	6
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
5. სავაჭრო მოთხოვნები	10
6. მარაგები	10
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11
8. გრძელვადიანი სესხები	11
9. მოკლევადიანი სესხები	12
10. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	12
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	13

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-18	31-12-17
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		21,028	31,304
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,317,069	40,253
გადახდილი ავანსები		332,812	-
მარაგები	6	1,894,422	1,994,117
სხვა მიმდინარე აქტივები		2,062	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,565,331	2,065,674
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		489,889	279,156
არამატერიალური აქტივები		2,417	2,417
სულ გრძელვადიანი აქტივები		492,306	281,573
მთლიანი აქტივები		4,057,637	2,347,247
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	2,191,414	1,091,460
საგადასახადო ვალდებულებები		91,403	278,927
გრძელვადიანი სესხები	8	1,045,945	567,528
მოკლევადიანი სესხები	9	418,020	152,085
სულ ვალდებულებები		3,746,782	2,090,000
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		310,655	257,047
სულ საკუთარი კაპიტალი		310,855	257,247
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		4,057,637	2,347,247

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 2018 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-18
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	15,647,780
რეალიზებული პროდუქციის	11	(13,606,849)
თვითღირებულება		
საერთო მოგება		2,040,931
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,024,924)
შედეგი საკურსო სხვაობიდან		30,423
საოპერაციო მოგება		46,430
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		7,178
მოგება დაბეგვრამდე		53,608
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		53,608

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი	200	257,047	257,247
წმინდა მოგება	-	53,608	53,608
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	200	310,655	310,855

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან თრედინგ კომპანი დაფუძნდა 2010 წელს. კომპანიის მისამართია: თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქ. N20, ბ. N10 მისამართზე. კომპანიის საინდეფიკაციო კოდია: 406034278. კომპანიის მფლობელია შემდეგი ფიზიკური პირი:

ლევან კალანდარიშვილი (01015008724) – 100%

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი ლევან კალანდარიშვილი (ს/კ 01015008724), რომელიც აგრეთვე არის კომპანიის 100% წილის მფლობელიც.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	31.12.2018 მფლობელობა	ყიდვის/დაარსების წელი	ინდუსტრია
შპს ჯი თი სი ქონსტრაქშენ	100%	19/12/2017	საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ყველა სავალდებულო გამონაკლისი.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-16-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	2-8
სხვა ძირითადი საშუალებები	2-4

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

4.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქცეთოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.6 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.
(თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

4.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიამ შეაფასა დებიტორული დავალიანებების შესაძლო დანაკარგების რეზერვი და 2017 წელს ჩამოწერა 196,111 ლარის, ხოლო 2018 წელს 79,736 ლარის ოდენობის უიმედო ვალი, 2017 წლის ხარჯი შესულია გაუნაწილებელი მოგებაში, ხოლო 2018 წლის ხარჯი ზოგად და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებში.

6. მარაგები

მარაგებში შესულია შპს შპს ჯორჯიან თრეიდინგ კომპანიის მარაგები, რომელმაც 31-12-2018 - ის მდგომარეობით შეადგინა 1,162,018 ლარი და შპს ჯი თი სი ქონსტრაქშენ-ის მარაგები რამაც ჯამში შეადგინა 746,480 ლარი. ორივე კომპანიის მარაგები შედგება, სამშენებლო მასალებით და ინვენტარით.

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-12-2018	31-12-2017
სავაჭრო ვალდებულებები	1,766,212	1,079,291
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	89,420	12,169
მიღებული ავანსები	335,782	-
სულ მარაგები	2,191,414	1,091,460

კომპანიამ 2017 წლის ბოლოს განახორციელა 203,810 ლარის ღირებულების ვალდებულების ჩამოწერა, რადგან მოწოდებული პროდუქციის ხარისხი არ შეესაბამებოდა სტანდარტს და აღნიშნული ვალდებულება არ აღიარდა მომწოდებელთან არსებული კონტრაქტის შესაბამისად.

8. გრძელვადიანი სესხები

ხელშეკრულების ნომერი	სესხის გამცემი	31-12-18	31-12-17
#2305-01	თიბისი ლიზინგი	4,838	9,195
#2305-02	თიბისი ლიზინგი	21,804	32,165
# 2102985-9046123	თიბისი ბანკი	-	320,000
# 2102985-9046187	თიბისი ბანკი	-	132,866
# LA-73712	თიბისი ლიზინგი	37,568	52,308
# LA-73711	თიბისი ლიზინგი	(155)	20,994
# 2102985-10104395	თიბისი ბანკი	400,000	-
# 2102985-10158531	თიბისი ბანკი	403,078	-
# LA-81081	თიბისი ლიზინგი	178,812	-

გრძელვადიანი სესხები აღებულია საბრუნავი კაპიტალის და ძირითადი საშუალების დასაფინანსებლად.

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

9. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები შედგება 2 საკრედიტო ხაზისგან რომლებიც თიბისი ბანკშია გახსნილი

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია ახდენს ნედლეულის იმპორტს, აღნიშნული ნედლეულის ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ცხრილში მოცემულია 2018 წლის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები გაშიფრული კომპანიების მიხედვით:

ხარჯი	შპს ჯორჯიან თრედიდინგ კომპანი	შპს ჯი თი სი ქონსთრაქშენ
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,224,498)	(143,113)
ცვეთა და ამორტიზაცია	(16,245)	-
საპროცენტო შემოსავალი:	-	-
საპროცენტო ხარჯი :	(101,640)	-
იჯარის ხარჯი	(97,604)	(1,033)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(124,681)	(316,110)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,564,668)	(460,256)

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღდგლი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი